პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 194 (12108) | პარასკევი, 25 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ვალდებულებათა შესრულება საუკეთესო საგუშაგოა პარტიის ყრილობისათვის

ჩვენი ქვეყანა ძალღონით აღსავსე, შემოქმედების პათოსით გამსჭვალული ეგებება კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. სულ უფრო ძლიერდება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა. ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — ყველგან იზრდება და ფართოვდება პარტიული ყრილობის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების მონაწილენი თავიანთ ღონისძიებებს ახმარენ იმას, რომ ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმები, ახალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწიონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობაში.

ყრილობისწინა შეჯიბრება მძლავრი პატრიოტული მოძრაობაა. ამ შეჯიბრებაში მილიონობით მუშა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელი, საბჭოთა ინტელიგენცია მონაწილეობს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაახარონ სამშობლო ახალი სახელოვანი საქმეებით, გაადიდონ თავიანთი შრომითი წვლილი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში. მასობრივი შეჯიბრება ყველგან წარმოშობს შრომის ახალ და ახალ გმირებს.

საბჭოთა ადამიანები ემზადებიან, ისე შეხვდნენ კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას, როგორც ყოველთვის ხვდებიან პარტიისა და ხალხის ცხოვრების დიდ და სახიხარულო მოვლენებს, — შეხვდნენ მილიონობით ტონა დამატებითი ფოლადით, ქვანახშირით, ნავთობით, პურითა და ხორცით. სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ ღირსეულად, კომუნისტურად შეეხვედრო ყრილობას. პარტია განსაკუთრებით დიდად აფასებს ხალხის შრომითს ინიციატივას, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მას კომუნისტმშენებლობის ბრძოლაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილებიდან ცალკეული პარტიული, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან შემოდის შეკითხვები და წინადადებანი პარტიის მომავალი ყრილობისათვის სპეციალური მბატარუალდ გაფორმებული. საჩუქრების დამზადების შესახებ. საჭიროდ მიიჩნია განემარტა, რომ ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობათა კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო საუჭარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის იქნება საწარმოო გეგმებისა და მომავალი პარტიული ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტურ ვალდებულებათა ამოლისანდა და გადაჭარბებით შესრულება. სპეციალური სამახსოვრო საჩუქრების დამზადება კი უსარგებლო და მიზანშეუწონელი საქმეა. ცენტრალური კომიტეტის ეს განმარტება გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა.

ყოველ დღეს ახალი წარმატებები მოაქვს ფაბრიკა-ქარხნების, მშენებლობების, შახტებისა და ნავთობსარეწების კოლექტივთა ყრილობისწინა შეჯიბრებაში. ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ზეგეგმითი ლითონის გამოდნობის წლიური ვალდებულება. შეჯიბრებაში სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ჩისტიაკოვის კისელიოვის სახელობის შახტის მაღაროელებმა: მათ ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს თავიანთი ვალდებულება. ვოტკინსკის ჰიდროკვანძის მშენებლები წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ შეამცირონ მძლავრი ელექტროსადგურის მწყობრში ჩაყენების ვადა.

დღეს ჩვენი ქვეყანა სიხარულით შეიტყობს, რომ მშობლიური პარტიის ყრილობას ღირსეული შრომითი საჩუქარი მოუმზადეს სტალინგრადის ოლქის მშრომელებმა. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩინებული მოსავალი მოიყვანეს, ორგანიზებულად აიღეს მოსავალი და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალება. სტალინგრადელებმა სამშობლოს მისცეს 118 მილიონი ფუთი ხორბალი, ჭვავი, ქერი და ფეტვი — გეგმაზე თითქმის 16 მილიონი ფუთით მეტი. ამავე დროს ყველა მეურნეობას მთლიანად შენახული აქვს თესლი. მარცვლეული დატოვებულია საკმაო რაოდენობით კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე მისაცემად, აგრეთვე საზოგადოებრივი მეცხოველეობის საჭიროებისათვის. ამჟამად ოლქის მინდვრებში მიმდინარეობს სახილოსე სიმინდის აღება, მზრალის ხვნა, საშემოდგომო კულტურების თესვა. უახლოეს ხანში სტალინგრადელებს დასახული აქვთ კიდევ ჩაბარონ სახელმწიფოს ბიღლებს სულ ცოტა შვიდი მილიონი ფუთი პური.

საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან ტალინგრადელ მიწათმოქმედთა შესანიშნავი საქმეების ამბავს. მათს სახელოვან გამარჯვებაში ხორცშესხმულია ათეულ ათასობით კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშის, სოფლის მექანიზატორის, სპეციალისტის შრომა,

ПРАВДА

24 აგვისტოს მოზინავე

ენთუზიაზმით და ბეჯითად რომ ახორციელებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზულ გეგმებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა.

სტალინგრადელთა წარმატება საგულისხმოა. მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს, შემთხვევითი როდია. ეს არ არის ბედნიერი შემთხვევა და არ არის უხვი ბუნების წყალობა, ეს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად პარტიის გადაწყვეტილებათა გეგმაზომიერი განხორციელების შედეგია, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია, რომელიც მიზნად ისახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ შესრულებას. უკანასკნელი წლების მანძილზე ოლქში უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მიწათმოქმედების ტექნიკა. გაუმჯობესდა ტექნიკის გამოყენება. შესრულებული მუშაობის შედეგად ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაიზარდა მინდვრების მოსავლიანობა, დიდად განვითარდა მეცხოველეობა.

მოწინავეთა წარმატება იმის შესანიშნავი ნიმუშია, თუ როგორ უნდა შევასრულოთ მთელი ქვეყნისათვის მიცემული სიტყვა. „სახელი და დიდება სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს, რომლებიც ასრულებენ ჩვენი პარტიის მოთავალ ყრილობასთან დაკავშირებით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს!“ — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — ქარხნის თუ კოლმეურნეობის ყოველი შესრულებული გეგმა იგივე გაფრენაა, გაფრენა მოთავალში“.

სტალინგრადელთა გამოცდილება განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების — ციმბირის, ურალის, ყაზახეთის, ყირიმის მხარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, სადაც ამჟამად დაძაბული ბრძოლაა შეჯიბრებით ნაკისრ პასუხსაგებ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

აღმოსავლეთში მკას დაბალულად ადევნებს თვალყურს მთელი ჩვენი ქვეყანა. ეს გასაგებიც არის. ციმბირი და ყაზახეთი უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის ნებით, მთელი ხალხის ღონისძიებებით მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების უდიდესი მწარმოებლები გახდნენ. აქაურ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა დროზე და სწრაფად ავიღოთ მოსავალი. ამის შესაძლებლობა გვაქვს. მეურნეობები აღჭურვილი არიან მძლავრი ტექნიკით. ციმბირელებისა და ყაზახეთელების დასახმარებლად მოსავლის აღებაში სამხრეთი რაიონებიდან ჩავიდა ათასობით გამოცდილი მექანიზატორი. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს სწრაფად დავამთავროთ მკა, თავიდან ავიცილოთ დანაკარგი მოსავლისა, რომელზეც უდიდესი შრომაა გაწეული. მკისა და პურის დამზადების წარმატება მთლიანად დამოკიდებულია მინდვრებში ორგანიზებულობაზე, იმის უნარზე, რომ სწორად და ყველაზე დიდი ეფექტით გამოვიყენოთ მთელი ტექნიკური საშუალებანი და ადამიანთა რეზერვები.

მინდვრების მოწინავეთა მიღწევები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ დიდი ორგანიზებულობა და ტექნიკის ნაყოფიერი გამოყენება მუშაობის ტემპის გაძლიერების, პურის მკისა და ლეწვის ვადების შემცირების მთავარი გადამწყვეტი პირობაა. შეწყობილად მიდის მოსავლის აღების სამუშაოები ალტაის მიხაილოვკისა და რუბცოვსკის რაიონებში. ხორბალი აქ უკვე მომკილია ნახევარ ფართობზე, ამ რაიონების ბევრი მექანიზატორი დღითიდღე გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. თვალსაჩინო შედეგს მიაღწია ნარჩინებულმა ალტაელმა მექანიზატორმა კომუნისტმა ივანე დანილას-ძე რიბჩენკომ. იგი ტაბუნის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში დღეში 120 ჰექტარ მარცვლეულს მკის. ამ ალაობის დღეებში თავდადებით შრომობენ საბჭოთა მეურნეობების მოსავლის აღების ოსტატები ა. ტიმოფეევი, პ. გორიუკი, ი. ზაზულია.

შესანიშნავი პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს ომსკის ოლქის კორმილოვკის რაიონის მხვნელ-მთესველებმა. მათ გადაწყვიტეს მარცვლეულის მკა დაამთავრონ სექტემბრის დამდეგისათვის და ჩვენს ქვეყანას მისცენ 2.690 ათასი ფუთი მარცვლეული, აქედან გეგმის გადამეტებით — მეოთხედი მილიონი ფუთი. ვალდებულება დიდია, მაგრამ მისი შესრულება შეიძლება. ამის თავდებია ერთსულოვანი შრომა მინდვრებში.

მშვენიერია საბჭოთა სოფლის მოწინავეთა საქმეები! მაგრამ ეს საქმეები ვერ დაფარავენ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც მოსავლის აღების დროს გვხვდება. ყამირის მხარის, ომსკის ოლქის ბევრ რაიონში ჯერ კიდევ ნელია მკის ტემპი. მთელი ტექნიკა როდია ჩაბმული მუშაობაში. ამასობაში უდიდეს მასივებზე პური მოუმკელია. დამკმაყოფილებლად ვერ იყენებენ მანქანებს ნოვოსიბირსკის ოლქის მეურნეობებში. ტექნიკა, რომელიც აქ აქვთ, საშუალებას იძლევა ყოველდღე მომკან ღვარეულად 150 ათასი ჰექტარი პური, ოლქში კი მხოლოდ 50-60 ათას ჰექტარს მკიან. მოსავლის აღება გაჩაღებულია, სახელოსნოებს კი ჯერ არ გამოუშვიათ ასობით კომბაინი.

მოყვანილი მოსავლისადმი დაუდევარი დამოკიდებულება შეუწყნარებელია. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სპეციალისტები მოვალენი არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მათს განკარგულებაში არსებული ტექნიკა მაქსიმალური ნაყოფიერებით მუშაობდეს მინდვრებში. საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მკაში შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, საუკეთესო კომბაინერთა, სამკელი მანქანების მემანქანეთა, შოფერთა გამოცდილება.

ყოველი დღე გვიახლოებს პარტიის ყრილობის გახსნის თარიღს. ახლა განსაკუთრებით საჭიროა განუწყვეტლივ ავამაღლოთ ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის დონე, სულ უფრო ქმედითი გავხადოთ იგი, განუწყვეტლივ გამოვიყენოთ საბჭოთა ადამიანების მჩქეფარე შემოქმედება და ენთუზიაზმი კონკრეტული სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყოველმა შრომითმა კოლექტივმა თავისი ღირსეული საჩუქარი მიუძღვნას სკკპ XXII ყრილობას — მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს საწარმოო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. ეს კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი შემდგომი წარმატებების საწინდარია.

ნ. ხრუშჩოვი ესაუბრა დრიუ პირსონს

სოჩი, 24 აგვისტო, (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე იმყოფება ხანმოკლე დასვენებისათვის, მიიღო ამერიკელი ჟურნალისტი დრიუ პირსონი და ესაუბრა მას,

შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

ახალციხე. (საკ. კორ.). საქართველოს დიატომიტის ახალციხის მაღაროს კოლექტივმა 18 აგვისტოსათვის შეასრულა დაფქული დიატომიტის გამოშვების 8 თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 955 ტონა პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ნატეხი დიატომიტის ამოღების 8 თვის დავალება, შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებები.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ გამოცდილი ა. ჯელია, მნგრეველები ს. ინასარიძე და ვ. ოქრომელიძე, მემანქანე ვ. პავლოვი და სხვები.

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა შვიდი თვის საწარმოო გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ფაბრიკის კოლექტივმა ძირითადი და დამხმარე მასალების მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად დაზოგა: აბრეშუმის ქსოვილი—4.400 კვადრატული მეტრი, შალის ქსოვილი — 4.600 კვადრატული მეტრი და ბამბის ქსოვილი — 34.000 კვადრატული მეტრი, მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები და შვიდ თვეში 12.500 მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

ა. ი. მიქოიანი მოსკოვში დაბრუნდა

მოსკოვი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც იაპონიაში იყო იმის გამო, რომ ტოკიოში გაიხსნა საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა.

მოსკოვში დაბრუნდნენ აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ა. ი. მიქოიანს ახლდნენ მისი მოგზაურობის დროს.

ჯ. ნერუს ვიზიტი საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 1960 წელს, როცა იგი ინდოეთში იყო, სთხოვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს ეწვიოს საბჭოთა კავშირს. ეს მიწვევა მიღებულ იქნა.

პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ მოსკოვს ჩამოვა 1961 წლის 6 სექტემბერს.

სამშობლოს ბელლებში

მოსკოვი, 23 აგვისტო. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მხვნელ-მთესველების მიერ მიღწეულ ახალ შრომითს გამარჯვებებზე მეტყველებს სტალინგრადის ოლქის მშრომელთა პატაკი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმის წარმატებით შესრულების შესახებ.

20 აგვისტოსათვის სამშობლოს ბელლებში სტალინგრადის ოლქს ჩაბარებული აქვს 118 მილიონი ფუთი მარცვლეული, აქედან 61 მილიონი ფუთი ხორბალი.

შრიალებენ სიმინდები

დახედეთ ამ სურათს: რა ბარაქიანად უწოვებია ძუძუ ქართლის მადლიან მიწას „მინდვრის დედოფლისათვის“!..

ოქრისფერ ტაროებში ძალუმად ჩაღვრილა მზის სხივების მცხუნვარება, ცის ნამის სილბო და კაცის მარჯვენის ძალა.

და ეს ჩვენი ადამიანების თავისუფალი, ხალისიანი, დაუღალავი შრომის გამარჯვებაა, იმ დიდი შრომისა, რომელიც შვიდწლედის მესამე წელს ახე ერთიანი ძალით გაანაღეს სოფლის ადამიანებმა უხვი მოსავლის მისაღებად.

სოფლის ამ ადამიანთა შორის არიან კასპის რაიონის ალაიანის საბჭოთა მეურნეობის მესიმინდეებიც, რომლებმაც იკისრეს წელს 100 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი მიიღონ მარცვლად, ხოლო 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერი

როგორია ამ ვალდებულების განაღდების პერსპექტივა?

— გეგმაც და ნაკისრი ვალდებულებაც კანონია, — ამბობს მეურნეობის მემინდვრეობის აგრონომი ტ. ხიზანიშვილი, რაც ვთქვით, კიდევაც შევასრულებთ! და იგი მომწიფებულ ტაროებს გვიჩვენებს.

მართლაც, თვალს ავლებთ სიმწიფეში შესულ სიმინდს და გჯერათ, რომ ალაიანის საბჭოთა მეურნეობას წელს „მინდვრის დედოფლის“ დიდი მოსავალი ექნება.

კიდევ რამდენიმე დღე და აქ სიმინდის ყანებს გასჭრიან, რაც დათესეს, კიდევაც მოიმკიან.

* * *

სურათზე: კასპის რაიონის ალაიანის საბჭოთა მეურნეობის სიმინდის ყანები. ახალი მოსავლის სიმწიფეს ამოწმებენ (მარჯვნიდან): მეურნეობის დირექტორი ს. ნათელაშვილი, აგრონომი ტ. ხიზანიშვილი და მოწინავე მესიმინდე ი. ძამაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ბ. დადვაძისა.

ამბები, ცნობები, ფაქტები

მეტი ტემპი, მეჩაიეებო!

დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა. 233 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული მოკრიფეს. მოკრეფილი ჩაის ფოთლის 80 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა.

არის წლიური გეგმა

როგორც ყოველთვის, ახლაც კირცხელები სიტყვას არ გატეხენ და გეგმის გადამეტებით მოკრეფენ 45 ტონა ჩაის ფოთოლს.

ჩაის კრეფის წლიური გეგმები კარგა ხანია შეასრულეს მ. ჯიქიამ და ს. იზორამ, ახლა თვითეული მათგანი იბრძვის 1.000 კილოგრამი „მწვანე ოქროს“ მოკრეფისათვის.

შ. ფირცხალავა.

გუდაუთელები ამბობენ:

დამატებით იქნება 400 ტონა ჩაი

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ტელეფონით დაუკავშირდა პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველ მდივანს ამბ. ხ. ავიძბას და სთხოვა ეამბნა გუდაუთელ მეჩაიეთა წარმატებებზე, იმ შრომითს აღმავლობაზე, რაც გამოიწვია მშობლიური პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვამ და პარტიის XXII ყრილობისათვის მზადებამ.

ამბ. ხ. ავიძბამ განაცხადა: პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვის დღეებში გუდაუთელმა მეჩაიეებმა უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი. ამის შედეგად 21 აგვისტოსათვის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 2.830 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.800 ტონისა.

რაიონის მეჩაიეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით მოკრეფონ 400 ტონა ჩაის ნედლეული. მეჩაიეებმა ეჭონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და პირობა დადეს ეს ვალდებულება შეასრულონ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის.

მეტი ჩაისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანა სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშმა“, რომლის თავმჯდომარეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვლ. ლაკოია. კოლმეურნეობამ 1.780 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. წლიური გეგმა კი 1.680 ტონას თვალისწინებდა, ბევრმა ბრიგადამ და რგოლმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრიგადა, რომელსაც ნ. ჩლაძე ხელმძღვანელობს.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება 122 პროცენტით გაანაღდა სოფელ ბარმიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, მაღალნაყოფიერად შრომობენ სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის მეჩაიეები.

ახლა ჩაის ფოთლის კრეფის დაძაბული დღეებია. ყველა მეჩაიე ენერგიულად შრომობს ნაკისრი ვალდებულების სასახელოდ შესრულებისათვის.

სურათზე: მოწინავე მეჩაიეები დურიფშელი დ. არძინბა და ლიხნელი ე. გონაგაშვილი.

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც დაჟინებით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც ამჟამად ახორციელებს საოკუპაციო ფუნქციებს დასავლეთ ბერლინში, დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი, რათა შეწყდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უკანონო და პროვოკაციული მოქმედება ამ ქალაქში.

დასავლეთ ბერლინში, ნათქვამია ნოტაში, დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობს ბონის ეგრეთწოდებული სრულიად გერმანიის საკითხთა მინისტრი ლიმერი, რომელმაც შექმნა იქ თავისი რეზიდენცია, სადაც მზადდება სხვადასხვაგვარი პროვოკაცია და საიდანაც ხელმძღვანელობენ ძირგამომთხრელ შუამავალ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან დასავლეთ ბერლინში სხვადასხვა ჯურის რევანშისტების, ექსტრემისტების, ძირგამომთხრელების, ჯაშუშებისა და დივერსანტების გადასაყვანად დასავლეთის სახელმწიფოები იყენებენ საჰაერო კორიდორებსაც. ამის შედეგად უხეშად არის დარღვეული 1945 წელს მიღწეული შეთანხმება, რომლის თანახმად დასავლეთის სამ სახელმწიფოს დროებით გამოეყო საჰაერო კორიდორები მათი სამხედრო გარნიზონების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად, და არა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის ძირგამომთხრელი და რევანშისტული მიზნებისათვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების გაძლიერებული ხრიკები დასავლეთ ბერლინში მოწმობენ მათ მისწრაფებას განზრახ გაამწვავონ მდგომარეობა ამ რაიონში, რათა გამოიწვიონ გართულება და კონფლიქტები, შეიცადონ შეაჯახონ დასავლეთის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირს დასავლეთგერმანელი მილიტარისტებისა და რევანშისტების სასარგებლოდ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც ნებაზე უშვებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალთ ჩაერიონ დასავლეთ ბერლინის საქმეებში და ქალაქის ტერიტორია გამოიყენონ საერთაშორისო პროვოკაციებისათვის, კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას შესაძლო შედეგებისათვის.

ანალოგიური შინაარსის ნოტები გაეგზავნათ აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს. (საკდესი).

დიდი ღირსება და მოვალეობა

ხაკაბ წესდების პროექტი უდიდესი მოვლენაა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. მასში ჩამოყალიბებულია კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში დასახული ამოცანების განხორციელების ტაქტიკური გზები და ორგანიზაციული პრინციპები.

ეს პრინციპებია: უმაღლესი ცენტრალიზმი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, შეგნებული დისციპლინა, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, პარტიაში ფრაქციებისა და დაჯგუფებების დაუშვებლობა, პარტიაში შესაფერელთა გულდასმით შერჩევა და მისი რიგების დაცვა ისეთი ადამიანების შეღწევისაგან, რომლებიც არ არიან კომუნისტის მაღალი წოდების ღირსნი, მუდმივი ბრძენა პარტიის წევრთა შეგნებულობის ამაღლებისა და შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისათვის.

კომუნისტური პარტიის წესდების ორგანიზაციულ პრინციპების განუხრელად განხორციელება, ისე როგორც წინათ, ახლაც განსაზღვრავს პარტიის მთელ საქმიანობას. უზრუნველყოფს მის მაღალ დონეს, წარმოადგენს პარტიის პროგრამის წარმატებით შესრულების საფუძველს. წესდების პროექტი ამ ორგანიზაციულ პრინციპებზე დაყრდნობით განმარტავს, თუ რას წარმოადგენს კომუნისტური პარტია, როგორია მისი როლი კომუნიზმის მშენებლობაში, რა არის პარტიის წევრის მოვალეობა და უფლება, რა პრინციპზეა აგებული პარტია, როგორ ახორციელებს ის ხელმძღვანელობას მშრომელთა სხვა ორგანიზაციებისადმი და სხვ.

წესდების პროექტში წარმოდგენილ ყველა საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიის წევრების საქმიანობის უკეთესად მოწყობისათვის — პარტიის პროგრამის განსახორციელებლად წესდების პროექტი მოითხოვს კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას. ამიტომ პროექტში სრულად არის განსაზღვრული პარტიის წევრების მოვალეობანი, ზუსტად და ფართოდ არის ფორმულირებული პარტიის წევრების უფლებანი,

კომუნიზმის აშენების პროგრამის განსახორციელებლად პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიული მუშაობის ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას და ამის შესაბამისად იმ მოვალეობათა დაჯ უფლებათა ზუსტად შესრულებას, რომლებსაც ანიჭებს წესდება პარტიის წევრებს.

წესდება პარტიული ცხოვრების საფუძველია, კანონია, რომლის აუცილებლად შესრულება პარტიის ყველა წევრის მიერ ქმნის კომუნისტთა მოქმედების იმ ერთიანობას, უერომლისოდაც პარტია ვერ განახორციელებდა მასების ორგანიზატორისა და ბელადის როლს. ამიტომ იბრძოდა კომუნისტური პარტია წესდების ძირითადი პრინციპების განუხრელად შესრულებისათვის. ამიტომ

პარტიის წევრი მოვალეა: იბრძოდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას. იყოს ყოველივე ახლის, პროგრესულის წამომწყები, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას, ეუფლებოდეს ტექნიკას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, უფრთხილდებოდეს და ამრავლებდეს საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს.

სკკპ წესდების პროექტიდან.

შუახევის კარტიულ კონფერენციაზე

იმ უჩვეულო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შესახებ, რაც აჭარის მაღალმთიანი რაიონის — შუახევის რაიონის მშრომელთა შორის გამოიწვია სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების გამოქვეყნებამ, ილაპარაკეს რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატებმა. მათ ამავე დროს დასახელეს სერიოზული ნაკლოვანებები, რომელიც ხელს უშლის პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ნაკისრ ვალდებულებათა სახელოდ შესრულებისათვის.

პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ს. მაკარაძე.

კონფერენციამ დიდი ინტერესით მოიხმინა მოხსენებები სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების გამო.

კონფერენციის მონაწილეებმა წამოაყენეს ბევრი საყურადღებო შენიშვნა და წინადადება, დასახეს ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის, აირჩიეს პარტიის რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაშვილმა.

ახლადარჩეული რაიკომის პლენუმმა საქართველოს კპ შუახევის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია გ. დავითაძე, მეორე მდივნად — შ. ჩხაიძე, მდივნად — მ. ტარიელაძე.

რ. გორგაძე,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

ზრომის სიყვარული

პარტიის ახალი პროგრამის პროექტს გულდასმით ვსწავლობთ...

და რამდენადაც ღრმად ვეცნობით ამ ისტორიულ დოკუმენტს, იმდენად მეტი ძალა, მეტი ხალისი გვემატება შრომაში.

გასულ წელს ბრიგადამ, რომელსაც ვხელმძღვანელობ, ხილის უხვი მოსავალი მიიღო. ახლა ბრიგადის წევრები კიდევ უფრო დაძაბულად მუშაობენ. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ თვითეულ ჰექტარზე 140 ცენტნერი ხილი მოვკრიფოთ. ამასთან პირობა მივეცით სამშობლოს 40 ჰექტარი ნათესის ყოველ ჰექტარზე ავიღოთ 100 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

კარგად გვესმის, რომ ეს ვალდებულებები მეტად სერიოზულია. მაგრამ ისიც ვიცით, რომ თუ ვიკისრეთ, კიდევაც უნდა შევასრულოთ.

ბ. რჩეულიშვილი,
გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ ბრიგადის ხელმძღვანელი.

ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ კოლექტივი, რომელიც სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომის ვახტზე დგას, ყოველთვიურ საწარმოო დავალებას წარმატებით ასრულებს. საწარმომ 7 თვის გეგმა 132,5 პროცენტით გაანაღდა. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის ზეგით გამოუშვას 100 ათასი მეტრი სადენი, აითვისოს ახალი სახის პროდუქციის — რადიოსიხშირის კაბელის მასობრივი დამზადება.

სურათზე: ქარხანა „საქკაბელის“ მოწინავე შემომხვევი რამაზ მარაქველიძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

ხალხი წესდების პროექტი ეს ეტაპია პარტიის ცხოვრებაში, ეს ეტაპი ეხმარება ყველა ადამიანს, ეხმარება ყველა ადამიანს, ეხმარება ყველა ადამიანს,

მილიონების მანიფესტი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ საზოგადოებრიობა კვლავ შეუწყვეტელი ინტერესით ეცნობა სკკპ პროგრამის პროექტს. ყველა ქვეყნის მშრომელებს ეს ისტორიული დოკუმენტი მოაჩნიათ მთელი კაცობრობის ბედნიერი მომავლის გამოხატულებად.

სკკპ პროგრამის პროექტი განხილვის საგანია ყველგან. ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ პროგრამის პროექტს განუწყვეტლივ უბრუნდება პრესა, „შუქის“ და „პოპულარიზაციას“ უწევს მის ცალკეულ დებულებებს.

გაზეთი „ᲠᲣᲓᲘ ᲞᲠᲐᲕᲐᲕᲝ“ თავის უკანასკნელ მოწინავეში ეხება კომუნიზმში გადასვლის ეკონომიურ საფუძვლებს, რომლებიც შემუშავებულია სკკპ პროგრამის პროექტში. გაზეთი მას ახასიათებს როგორც ნამდვილად ლენინურ პროგრამას, რომელიც ბრწყინვალედ უკავშირებს პოლიტიკურ ამოცანებს საზოგადოების ეკონომიური გარდაქმნის რეალურ პერსპექტივებს. სსრ კავშირის ეკონომიური ამოცანები, ხაზგასმით აღნიშნავს „რუდე პრავო“, სკკპ პროგრამის პროექტის ბირთვია და მათი შესრულება უკლასო კომუნისტური საზოგადოებრივი თანდათანობითი გადასვლის საფუძველია.

ბევრი მილიონი პოლონელისათვის, წერს ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ მშვიდობის კომიტეტის გენერალური მდივანი ამბ. სტᲨᲐᲚᲙᲝᲕᲡᲙᲘ, სკკპ პროგრამას ახალი პროექტი ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲗ შთამაგონებელი დოკუმენტია, რომელმაც ნათელი გზა გაუკაფა მშვიდობასა და კაცობრობის სანუკვარი ამედების განხორციელებას.

ამ დღეებში, როცა მოსკოვიდან მთელ მსოფლიოში ვრცელდება მშვიდობისა და ბედნიერების მოწოდება, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეები წელებზე ფეხს იდგამენ და აღვივებენ „ცივ ომსა“ და გამალებულ შეიარაღებას. ისინი გამუდმებით ასხამენ ნავთს ეგრეთწოდებული „ბერლინის საკითხის“ ცეცხლს, რომლის სამართლიანი გადაჭრა, რასაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს, თითქოს ემუქრება „თავისუფალ სამყაროს“. ჩვენი აზრით, ამთავრებს სტᲨᲐᲚᲙᲝᲕᲡᲙᲘ, სკკპ პროგრამა, რომელმაც კვლავ ცხადყო საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარეობა და თავისი მომავლის რწმენა, მთელი კაცობრობის მომავლის რწმენა, საუკეთესო პასუხია ომით მიმართ, ვინც ადამიანთა ინტერესებისა და ნების წინააღმდეგ აღვივებს ომის ისტერიას.

ᲕᲘᲬᲐ-ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲗᲘᲡ ფედერაციის პოეტმა (ბარბადოსის კუნძული) ᲞᲘᲢᲔᲠ ᲒᲚᲔᲘᲢᲛᲔᲜᲛ, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება, საკადესის კონცერტზე გასვლამდე, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი „არ შეიძლება არ ახარებდეს და ახალ იმედებს არ უსახავდეს ყველა მოაზროვნე ადამიანს“.

„ძლიერი საბჭოთა კავშირი, რომელსაც მხარს უჭერენ მისი მოკავშირეები—სოციალისტური ქვეყნები, — თქვა შემდეგ პიტერ ბლეკმენმა, — ამჟამად ერთადერთი გარანტიაა ატომური მოსპობის წინააღმდეგ. ყოველი ღონისძიება, რომლებიც აუჯობესებს საბჭოთა ადამიანების მატერიალურ კეთილდღეობას, არა მარტო განამტკიცებენ ამ გარანტიას მილიონობით ადამიანისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, არამედ განამტკიცებენ მათ იმედსაც, რომ ადამიანები ღირსეულად იცხოვრებენ და განთავისუფლდებიან მახინჯი მოვლენებისაგან, რომლებიც ხიღატაკეს მოაქვს.

ეს განსაკუთრებით ნათელი გახდება ყველა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ იმპერიალიზმის უღელქვეშ იმყოფება ან მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდა მისგან და ვინც მეგობრებსა და მოკავშირეებს ეძებს არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნაზე, არამედ თავისი ყოველდღიური ეკონომიური მოთხოვნილებების მკაცრ სინამდვილეშიც.

როგორც ასეთი ქვეყნის მკვიდრი ადამიანი, ხაზგასმით აღნიშნა პოეტმა, ვუერთიერ ჩემს ხმას მილიონობით ადამიანის ხმას მთელ მსოფლიოში, რომლებიც მიესალმებიან ახალ ნაბიჯს კაცობრობის მშვიდობისა და პროგრესისაკენ.

ცნობილმა ᲐᲨᲢᲠᲘᲚᲛᲐ მეცნიერმა პროფესორმა ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲞᲘᲚᲠᲘᲩᲘᲡᲛᲐ გაზეთ „ფოლᲚᲬᲢᲐᲛᲘᲗᲘ“ დაბეჭდა სტატია „ჩვენი ცხოვრების პროგრამა“, რომელიც მიეძღვნა სკკპ ახალი პროგრამის პროექტს.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში, — წერს ვ. პილრიჩი, — გამოხატულია ჩვენი ცხოვრების აზრი, იმათი ცხოვრების აზრი, ვინც დაკავშირებულია ამ პარტიასთან შეხედულებათა ერთობით... უფროსები ჩვენს რიგებში, ისინი, ვინც ახალგაზრდობის მასწავლებლები და მაგალითის მაჩვენებელნი არიან, იბრძოდნენ ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სოციალიზმი რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა მხოლოდ მიზანი იყო, როცა იგი არ არსებობდა სახელმწიფოს სახით. ისინი იბრძვიან ჩვენთან ერთად ახლაც, როცა საფუძველი ჩაეყარა კომუნიზმს მუშათა და გლეხთა პირველ სახელმწიფოში. დიდი ისტორიული ეტაპი, რომელიც განალიზებულია პროგრამაში, — გზაა, რომლითაც კვლავ მიდიან ახლანდელი მებრძოლები.

საბჭოთა კავშირის გზა სოციალიზმისაკენ გრძელი და ძნელი იყო, ხაზგასმით აღნიშნავს პოლიჩენი, მაგრამ სოციალისტური წანაკის ქვეყნები, რომელთა გან ზოგიერთისულ რამდენიმე წლის წინათ უფეის რუსეთი, არა მარტო მოკლე ვადაში ააშენებენ სოციალიზმს შრომის დანაწილების მეთხებით და ურთიერთდახმარების შედეგად, ისინი დაახლოებით იმავე დროში, როგორც საბჭოთა კავშირმა, განახორციელებენ კომუნიზმში გადასვლას. ამრიგად, ჩვენ პროგრესის მძლავრი დაჩქარებისა და გაადვილების მოწმენი ვართ“.

„კაცობრიობის განვითარების პერსპექტივები“ — სტატიაში ახეთი სათაურით ᲘᲐᲙᲘᲜᲘᲜᲘᲡ სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „ᲡᲘᲐᲪᲐᲚᲘ ᲡᲘᲛᲪᲘ“ დაწვრილებით ანალიზს უკეთებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის დეკლარაციამ და კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებამ, აღნიშნავს გაზეთი, წამოაყენეს მსოფლიო სოციალისტური სისტემის კომუნიზმში გადასვლის პრობლემა, აღნიშნეს კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის ახალი ეტაპის დაწყება და დასახეს სოციალისტური და დემოკრატიული მოძრაობის პერსპექტივები. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, განაგრძობს გაზეთი, რომ პროგრამის პროექტმა, ეყრდნობა რა ქვეყნის განვითარებას უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში და სახავს კაცობრიობის მომავლის პერსპექტივებს, კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენა თანამედროვე კომუნისტური და სოციალისტური მოძრაობის პრობლემები და მიზნები. (საკდესი).

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲕᲣᲧᲘᲗᲝᲗ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

Ჯ. ᲜᲔᲠᲣᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ, 23 აგვისტო. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელმაც დღეს დახურა კამთი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ინდოეთის პარლამენტის შტატების სამბჭოში, კვლავ მოუწოდა გახორციელონ სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრები და მოლაპარაკება გერმანიის საკითხისა და დასავლეთ ბერლინის პრობლემის მოსაწესრიგებლად. ნერუმ აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა მოეწყოს დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შეხვედრები გერმანიის საკითხის გადასაჭრელად ნაცვლად ჯარების გადაყვანისა და აგრესიული განცხადებებისა.

შეეხო რა დასავლეთ ბერლინის საკითხს, ნერუმ გაიხსენა ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება იმის შესახებ, რომ არ იქნება არავითარი ნაბიჯი დასავლეთ ბერლინის საზიანოდ ცხოვრებაში და ცდა შეცვალონ მისი სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა.

ნერუმ თქვა, რომ დასავლეთ ბერლინი მდებარეობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის შუა გულში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს კანონიერი უფლება განახორციელოს დასავლეთ ბერლინში მმოსელის კონტროლი.

ნერუმ შემდეგ თქვა, რომ შეიქმნა ორი ცალკე სუვერენული სახელმწიფო—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელთაგან თითეული დაკავშირებულია ერთ-ერთ უმძლავრეს ბლოკთან. ნერუმ აღნიშნა, რომ ინდოეთს კარგი ურთიერთობა აქვს დამყარებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. პრაქტიკულად ჩვენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიგვაჩნია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ნერუმ შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ცნონ ოდერ-ნოისეს საზღვარი. მან აღნიშნა, რომ დღემდე ზოგიერთი სახელმწიფო, მათ შორის დასავლეთ გერმანია, არ ცნობს ოდერ-ნოისეს საზღვარს. მე გაკვირვებული ვარ იმით, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, რომ ზნორად გაისმის ბოლმე ხმები, ეს საზღვრები უნდა შეიცვალოსო. ეს საშიშია, თქვა ნერუმ. ამიტომ უნდა მივიღოთ ეს საზღვრები, აღნიშნა მან.

ნერუმ მხარი დაუჭირა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონტაქტების განვითარებას მათი დაახლოების მიზნით.

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 23 აგვისტო. (საკდესი). ბონის კანცლერმა ადენაუერმა „ᲔᲚᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ“ გაიკეთა დასავლეთ ბერლინში. იგი აქ მხოლოდ 8 საათს იყო. მაგრამ ადენაუერისათვის ეს მოკლე ვადა საკმარისი აღმოჩნდა, რათა კიდევ უფრო გაემწვავებინა ატმოსფერო. მმართა რა დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთ, მან, კერძოდ, მოუწოდა დასავლეთს „გააძლიეროს ზეგავლენა“ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და ომუქრებოდა, დასავლეთი გამოიყენებს თავის ეკონომიურ პოტენციალს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგო.

ბონის მთავრობის მეთაური უჩიოდა ომის გამო, რომ ამერიდან დაშულია გზა ეგრეთწოდებულ „ლტოლვითა“ შეგროვებულთათვის, რომლებიც დასავლეთ ბერლინის ტერიტორიიდან მოქმედებენ.

კანცლერმა იმოგზაურა ბერლინის სექტორალური საზღვრის გაყოლებით, ხოლო შემდეგ დაესწრო დასავლეთ ბერლინის სენატის სხდომას. დასავლეთ ბერლინში თავისი ყოფნა ადენაუერმა დაამთავრა პრეს-კონფერენციით, რომელზეც კვლავ არ დაუშვეს სოციალისტური ქვეყნების პრესის წარმომადგენლები. დამახასიათებელია, რომ პრეს-კონფერენციების მოწყობის ასეთი პრაქტიკა დასავლეთ ბერლინში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

დასავლეთ გერმანიის კანცლერმა, პრესის ცნობების მიხედვით, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დასავლეთ ბერლინის საკითხი მომავალში მოლაპარაკების საბაბი გახდება. იგი ამტკიცებდა, თითქოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს უშიშროების უზრუნველსაყოფად „ძალიან სერიოზული სიტუაცია“ შეექმნას. ამასთან დაკავშირებით მან ხაზი გაუსვა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს რაღაც „განსაკუთრებულ კალდებულებებს ბერლინის შესახებ“, რომლებიც დასავლეთის სამმა სახელმწიფომ იკისრა.

ადენაუერმა უარი თქვა დაწვრილებით ელაპარაკა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მან განიხილა დასავლეთ ბერლინის სენატის სხდომაზე.

ᲬᲣᲜᲘᲡᲘ—ᲬᲣᲜᲘᲡᲔᲦᲔᲑᲡ!

ᲣᲚᲢᲠᲐᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲡᲯᲔᲚᲐᲓ ᲗᲐᲠᲔᲨᲝᲒᲔᲜ

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ—ᲩᲘᲮᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტები გ. ვასილიევი და ლ. პონომარიოვი იუწყებიან: მესამე დღეა გრძელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მუშაობა. ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ორატორები, რათა სამარცხვინო ბოძზე გაიკრან საფრანგეთის აგრესია ტუნისის წინააღმდეგ და მოითხოვონ ოკუპანტთა ჯარების უსწრაფესი გაყვანა აფრიკის ამ ქვეყნის ტერიტორიიდან. კამათის მონაწილე 17 დელეგატიდან მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და არგენტინის წარმომადგენლებმა დაიცვეს აგრესორი. სესიის მუშაობის მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეები გადაჭრით გმობენ კოლონიზატორთა ავაზაკურ მოქმედებას.

23 აგვისტოს ღილის სხდომა. სიტყვა მიეცა უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელს.

უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლ. ე. კიზიამ კონკრეტული ფაქტებით ცხადყო ფრანგ კოლონიზატორთა ვერაგობა, საფრანგეთის აგრესია ტუნისის წინააღმდეგ, — განაცხადა მან, — ძველი კოლონიური პოლიტიკის განგრძობაა. საფრანგეთის მთავრობა უარს ამბობს დააკმაყოფილოს ტუნისის კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნა, რითაც მთელ მსოფლიოს უჩვენა ნამდვილი ხასიათი ნატოს აგრესიული ბლოკისა, რომელსაც იყენებენ კოლონიური სახელმწიფოების საერთო პოზიციის განსამტკიცებლად მთელ მსოფლიოში.

უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა უჩვენა იმ პოზიციის არსი, რომელიც ამერიკის დელეგაციას უკავია სესიაზე ტუნისის საკითხში. შეერთებულ შტატებს, თქვა მან, სურთ მარტოდმარტო დატოვონ ტუნისი ბრალებამდე შეიარაღებულ საფრანგეთთან და ამით საშუალება არ მისცენ მსოფლიო საზოგადოებრიობას მხარი დაუჭირონ ტუნისს.

დასასრულ უკრაინის დელეგატმა განაცხადა, რომ სავსებით მხარს უჭერს ტუნისის მთავრობისა და ხალხის კანონიერ მოთხოვნას ტუნისის ტერიტორიიდან საფრანგეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

ინგლისის წარმომადგენელმა, რომელმაც შემდეგ წარმოთქვა სიტყვა, უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ორატორთა დიდმა უმრავლესობამ მკვეთრად დაგმო საფრანგეთის აგრესიული მოქმედება. იგი მოუწოდებდა ასამბლეის მონაწილეებს გამოიჩინონ „თავშეკავება გამოთქმებში“ და „წინდახედულება“, რათა „ხელი არ შეუშალონ“ საფრანგეთისა და ტუნისის მომავალ მოლაპარაკებას. ინგლისის დელეგატმა დაიცვა აგრესორი და გაილაშქრა აფრიკა-აზიის ქვეყნების რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

ინგლისის დელეგატის აზრით, ასამბლეის ამოცანა ის კი არ არის, რომ მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება აგრესიის მსხვერპლის დასაცავად, არამედ მხოლოდ ის, რომ „შექმნას ატმოსფერო“ საფრანგეთისა და ტუნისის მომავალი მოლაპარაკებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელმა კ. კურკამ განაცხადა, რომ თავისი მთავრობის დავალებით მისმა დელეგაციამ სხვა დელეგაციებთან ერთად მხარი დაუჭირა აფრიკა-აზიის ქვეყნების მოთხოვნას ტუნისის საკითხზე სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ. თვით ფაქტი ამ სესიის მოწვევისა, — თქვა მან, — ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური ძალების დიდი გამარჯვებაა.

საფრანგეთის აგრესიამ ტუნისის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა კ. კურკამ, მთელი ძალით აიძულა არა მარტო აფრიკის ხალხები, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებიც — კვლავ შეეგონონ, თუ რა უდიდესი საფრთხე მოაქვს ჟანგიელთა ბაზების არსებობას სხვის ტერიტორიებზე.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგატმა გააკრიტიკა კოლონიურ სახელმწიფოთა პოზიცია ტუნისის საკითხში, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პოზიცია, და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადაჭრით უნდა მოითხოვოს სამხედრო ბაზების მთელი სისტემის ლიკვიდაცია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ყველა ხალხის უშიშროებასა და მშვიდობას. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, თქვა მან, უშინაარსოდ ტუნისის მხარეზეა, რომელიც იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლი გახდა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბრაზილიის დელეგაციის მეთაურმა გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე ს. შერმონტმა. მან თქვა, რომ ბრაზილიის დელეგაცია ბრაზილიის ახალი საგარეო პოლიტიკის თანახმად შეუერთდა მოთხოვნას სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ. ბრაზილიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიზერტის რაიონში შექმნილი მდგომარეობა მეტად სერიოზულია. დიდმა სახელმწიფომ, თქვა მან, დაარღვია ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ამ სახელმწიფოს ხალხს ნათლად გამოხატული ნებასურვილის საწინააღმდეგოდ მის მიწა-წყალზე იმყოფებიან უცხოელთა ჯარები და განლაგებულია უცხოელთა სამხედრო ბაზა. ს. შერმონტმა დაგმო საფრანგეთი იმისათვის, რომ არ შეასრულა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება.

საფრანგეთის ბაზის არსებობას ტუნისში არავითარი სამართლებრივი საფუძველი არა აქვს, განაცხადა სომალის დელეგატმა ჰასან ნურ ელმიმ.

ლიბანის დელეგატმა ჰაქიმმა დიდი შეშფოთება გამოთქვა ტუნისის ამბების გამო. საფრანგეთი, განაცხადა ჰაქიმმა, კვლავ ცდილობს შეინარჩუნოს ჩრდილოეთ აფრიკაში კოლონიალიზმის ძველი ფორმები, ხოლო ასამბლეის სესიაზე საფრანგეთის წარმომადგენლის გამოუცხადებლობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა აბუჩად ეკიდება იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ჰაქიმმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მტკიცედ იმოქმედოს ტუნისის კანონიერი მოთხოვნების მხარდასაჭერად.

ᲒᲣᲥᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲐᲧᲔᲜᲝᲜ...

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 23 აგვისტო. (საკდესი). ბურჟუაზიულმა გაზეთმა „კრუგმ“ გამოაქვეყნა მიშელ ჟაკის კორესპონდენცია საფრანგეთის გამოფენის შესახებ მოსკოვში. ჟაკი სამდურავს გამოთქვამს ზოგიერთი ექსპონატის გამო.

იგი ეხება პარიზის მოდების დემონსტრაციას და წერს, რომ მთელ ამ ღვლარეწნილ ძვირფას ტუალეტებს „საერთო არა აქვს რა იმასთან, რაც ნამდვილად აცვიათ ფრანგ ქალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში“.

„ეს გამოფენა მოლიანად უნდა გამოგვეყენებინა იმისათვის, — განაგრძობს მ. ჟაკი, — რომ გვეჩვენებინა ცხოვრება ისეთი, როგორიც იგი სინამდვილეშია. ეს სულაც არ არის ფანტაზიისათვის შესაფერისი ადგილი. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ზოგიერთი ექსპონატი ნაკარნახევია იმის სურვილით, რომ ბუქი ააყენონ.

პარიზის პავილიონში დიდი კედლის პანო გამოსახავს „მომავლის პარიზს“, სადაც არის ათობით ცათამბჯენი, რომლებიც არსებობს მხოლოდ ამ საუცხოო ფოტომონტაჟის ავტორთა წარმოსახვაში, რას ფიქრობენ ამაზე მოსკოველები, რომლებსაც ყოველდღე შეუძლიათ ნახონ თავიანთ ქალაქში არა მუყაოს, არამედ ბეტონის ნამდვილი ცათამბჯენები?

რაც შეეხება ტიპიურ ფრანგულ სახლს — ხუთი ოთახი, ორი საბანაო ოთახი და სხვ, თქვენ გარწმუნებენ, რომ იგი ღირს მხოლოდ 2 მილიონ 700 ათასი ძველი ფრანკი. სასურველია გიცოდეთ იმ ფილანთროპი მოჯარის სახელი, რომელიც მასობრივად აწარმოებდა ამ სახლებს.

საბჭოთა მოქალაქეების თვალსაზრისით ყველაზე უაზროა ფერწერის პავილიონი, სადაც გამოფენილია თითქმის მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქტული ფერწერა. ეს ფერწერა იმ ადამიანებში, რომელნიც ხალხურ ხელოვნებას შეეჩვევნენ, იმდენად გაკვირვებას არ იწვევს, რამდენადაც სიცილს“.

ᲠᲐᲡᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 23 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი და ფინანსთა მინისტრი დილონი გუშინ გამოვიდნენ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე. უპასუხა რა კითხვებზე დასავლეთის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების შესაძლებლობის შესახებ, რასკი, ისევე როგორც მთელ რიგ თავის წინანდელ გამოსვლებში, დასჯერდა ზოგად განცხადებას, რომ ამგვარი მოლაპარაკება ისე თუ ისე გაიმართება. „ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲜᲓᲒᲔᲜᲘᲐ, — თქვა მან, — რომ პასუხისმგებელმა მთავრობებმა დაუშვან, რომ დასავლეთ ბერლინის პრობლემა მის გაუხსნელად გადაიზარდოს მეტად გამწვავებულ კრიზისად“.

კითხვაზე, მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა ბერლინის „საზღვრის დახურვამ“ ამ მოლაპარაკების შესაძლებლობაზეო, რასკმა უპასუხა, რომ მოლაპარაკების პრობლემა არ უკავშირდება ამ „კონკრეტულ ეპიზოდს“.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა სთხოვა რასკს გამოეთქვა აზრი ევროპიდან მიღებული ცნობების შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები სხვადასხვა აზრის არიან იმის შესახებ, სასურველია თუ არა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან. სახელმწიფო მდივანმა ფაქტიურად თავი აარიდა პასუხს ამ კითხვაზე.

როცა რასკს ჰკითხეს, როგორია შეერთებული შტატების პოზიცია ნეიტრალური ქვეყნების ბელგრადის მომავალი კონფერენციის შესახებო, მან განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები არ აქებენ, მაგრამ არც „ᲣᲛᲚᲘᲐᲜ ᲡᲬᲐᲜ“ ქვეყნებს ამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებასო. მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდებიან ამერიკის შეერთებული შტატები იქ კუბის ყოფნას, სახელმწიფო მდივანმა შეაფასა როგორც „მაინტრიგებელი“.

ფინანსთა მინისტრმა დილონმა, რომელიც ამერიკის დელეგაციას მეთაურობდა ამერიკის სახელმწიფოთა ეკონომიური და სოციალური საბჭოს კონფერენციაზე პუნტა-დელ-ესტეზი (ურუგვაი), რაც ამას წინათ დამთავრდა, განცხადება გააკეთა პრეს-კონფერენციაზე მისი შედეგების შესახებ.

როგორც ცნობილია დილონი იქ იყო პრეზიდენტ კენედის დავალებით, რათა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის თავს მოუხვია „პროგრესისათვის კავშირის“ ეგრეთწოდებული პროგრამა, რომლის საშუალებითაც ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ გააძლიონ კონტროლი ამ ქვეყნების ეკონომიკისადმი და გაჩაყოს კუბა. თუმცა საკუსებით აშკარაა, რომ ამერიკის დელეგაციამ ვერ მოახერხა ამ მიზნების მიღწევა, მაგრამ დილონმა განაცხადა, ეს კონფერენცია „სრული წარმატებით“ დავიერგვინდაო.

ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲝᲠᲑᲘᲢᲘᲗ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება კანაკერალის კონცხიდან, დღეს იქ გაუშვეს რაკეტული სისტემა „რენჯერის“ ტიპის თანამგზავრითურთ, რომლის გაყვანა გათვალისწინებული იყო ძლიერ გაკიმულ ორბიტაზე დედამიწიდან აპოგეის დიდი დაშორებით, თანამგზავრის წონა 306 კილოგრამია.

გაშვებიდან სამი საათის შემდეგ გამოაცხადეს, რომ გამოურკვეველი მიზეზებით თანამგზავრი არ მოსცილდა რაკეტულ სისტემას, რომელიც მოძრაობს სხვა ორბიტაზე დედამიწიდან აპოგეის მცირე დაშორებით. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სამმართველო თავის ცნობაში აღნიშნავს, რომ რამდენადაც თანამგზავრი გადმოსცემს რადიო-სიგნალებს, გაშვება შეიძლება „ნაწილობრივ წარმატებულად“ ჩაითვალოს.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲛᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთო ბერლინიდან იუწყება, „მოკავშირეთა წარმომადგენელია განაცხადა, რომ დასავლეთ ბერლინში გაშალეს ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის „ჯარები, რათა „უზრუნველყონ სეკტორალური საზღვრების ხელშეუხებლობა“.

საგაზეთო აღნიშნავს, რომ დასავლეთ ბერლინში იმყოფება 6.500 ამერიკელი ჯარისკაცი („საბრძოლო ჯგუფის“ ჩათვლით 1.500 კაცის შემადგენლობით, რომელიც ქალაქში ჩავიდა 20 აგვისტოს). ინგლისის გარნიზონშია დაახლოებით 3 ათასი კაცი, ხოლო საფრანგეთის გარნიზონში — დაახლოებით 2 ათასი.

ᲒᲐᲜᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲒᲓᲐᲡᲛᲐ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ, 24 აგვისტო. (საკდესი). კუბის ყოფილი დიქტატორის ბატისტას მოხსრეები 22 აგვისტოს ბანდიტურად დაესხენ თავს გვიტუუნელის ჟურნალისტთა ასოციაციის შენობას. ოავდაესხმულებმა ქვა დაუშინეს ასოციაციის შენობას, ჩაამსხვრიეს ფანჯრები და კედლებზე ანტიკომუნისტური ლოზუნგები წაეწერეს.

ვენესუელის ჟურნალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ბრძოლას დემოკრატიული პრინციპების დასაცავად „ვერ შეაჩერებს ფაშისტური ჯგუფების მოქმედება“.

ᲠᲐᲡᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ



ᲛᲝᲘᲢᲐᲪᲔᲡ „ᲕᲔᲚᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲰᲔᲠᲪᲝᲒᲘ“

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 აგვისტო. (საკდესი). ლონდონის ეროვნული გალერეიდან დაიკარგა გოიას ცნობილი სურათი — ველინგტონის ჰერცოგის პორტრეტი, — რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დიდ ფასად შეიძინა სახელმწიფომ. ნავსადგურებსა და აეროდრომებზე დაწესებულია მეთვალყურეობა, რომ ეს სურათი კონტრაბანდულად გზით არ გაიტანონ საზღვარგარეთ.

გოიამ ეს სურათი დახატა 1812 წელს, სალამანკასთან ბრძოლის შემდეგ. სურათიდან, რომელიც ახლა ლონდონში სურათების ეროვნული გალერეიდან გაქრა, მხატვარმა ველინგტონის ჰერცოგის პორტრეტის სამი პირი გადაიღო.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ: ლონდონში 1961 წლის ივნისში გამართული აუქციონის მომენტი, როცა იყიდებოდა ერთ-ერთი პირი, რომელიც ლიდსის ჰერცოგს ეკუთვნოდა. სურათი იყიდა ერთმა ნიუიორკელმა მდიდარმა, ვინმე ჩარლზ რაიტსმამ, რომელმაც მასში 140 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ხნის წინათ ესპანეთი და იტალია ერთმანეთს მძაფრ კონკურენციას უწევდნენ ფეხბურთელთა ი

ფიქრები

ხეები, ხეები, ხეები...

ლაღად მკლავგაშლილნი, ცადაზიდულნი...

ქვეყნის სიმდიდრე, შნო, სილამაზე, ჩვენი ჩუმი მეგობრები, ჩვენი მკურნალები... აი ეს ქალალდიც, ახლა რომ ფიქრებს ვუზიარებ, — ტყემ გვისაჩუქრა.

მისგან გამოთლილ აკვანში გავიზარდეთ, მის მერხზე გაიარა ჩვენი ბავშვობის წლებმა, სახლიც მან აგვაშენა და მოგვირთო.

და ახლაც, დასვენება და მკურნალობა რომ დამჭირდა, გულღიად შემეგება. მწვანე კარავში ფერადი ნოხი დამფინა და ჩუმი შრიალით, ხან კი ფრინველების ენით თუ გამესაუბრება.

ენგურის ნაპირებიდან მოყოლებული ვუსმენ ხეთა საუბარს. ქვემოთ ტყე უფრო მწვანეა, ახალგაზრდა. ზემოთ თანდათან მუქდება. ერთმანეთის გვერდით დგანან ღრმამდმოზუცნი, სიმწიფეში შესულნი, ახალგაზრდები და სულ ჩვენნი.

მოხუცებს თავბირი ჩამოძენძიათ, თვალები ჩალამებიათ, მაგრამ მაინც ჯიუტად ხელგაშლილნი ეჭიდებიან სიცოცხლეს, პატარები კი თითქოს ფეხის წვერებზე შემდგარან და ცდილობენ თავი დააღწიონ მათ გაფარჩხულ, ხავსიან მკლავებს.

მოხუცს არ ეთმობა სიცოცხლე, მაგრამ ასეთია ბუნების კანონი... ასე გრძელდება ტყის მშვენიერი სიცოცხლეც... და ტყიდან წასული ხეც, პატოსანი, მშრომელი ადამიანის დარად ტოვებს ძვირფას ხსოვნას და მემკვიდრეობას.

ადამიანს აუღია უმაღლესი ხელისუფლება ტყის ცხოვრების მოწესრიგებაში... ამ ამოცანებს ემსახურება მრავალი სამეცნიერო ინსტიტუტი, სწავლულთა არმია, მის სამსახურში ჩამდგარა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები.

მოწესრიგებულ მეურნეობაში თვითმფრინავით ატარებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ელექტრომხერხი აადვილებს ხის ჭრას, სამაერო ბაგირგზები და მთის უხეი მდინარეები ეხმარებიან ადამიანს მოჭრილი ხეების უმტკივნეულო გამოზიდვაში.

უმტკივნეულო!

დიახ, ყველაფერს გააჩნია თავისი სატკივარი — ამ ხეებსა და ტყეს, ნიადაგსაც კი.

ხედავთ, როგორ „გამაგრებული“ ბალახების, ფესვებისა და ხავსის დახმარებით მიწის თხელი ფენა კლდოვან მთის თხემზე, როგორ ჩასჭიდებია სიცოცხლეს. დიდი სიფრთხილე მართებს ადამიანს, რომ არ დაირღვეს ბუნების ეს ჰარმონია.

ტყის ბარბაროსულმა ექსპლოატაციამ გააშიშვლა აღმოსავლეთ საქართველოს ოდესღაც მშვენიერი პეიზაჟი. ხის განურჩევლად ჭრამ, თრევით გამოტანამ გაანადგურა მოზარდი თაობა, დაღარა მთის კალთები, მოსპო ტყის სიცოცხლის აღმოცენებისა და ზრდის საშუალება. ვერც ოთხფეხი მტრისაგან დაიცვა ადამიანმა თავისი ერთგული მეგობარი. გაიძარცვა მთის ფერდობები მწვანე სამოსელისაგან და ადამიანებსაც მოაკლდათ ტყის მზრუნველი ხელი: მისი სილამაზე და სიმდიდრე, წყალი და გრილი ჰაერი...

რამდენი შრომა გვჭირდება ახლა ამ დანაშაულის გამოსასწორებლად, რომ თბილისის მთის კალთებზე ხელოვნურად შევქმნათ ნიადაგი, ისევ დავამშვენოთ ჩვენი ხელით გაძარცული დედაქალაქი, გამოვასწოროთ ჩვენი დანაშაული.

დანაშაული!!!

ახლაც ხომ არ ვიმეორებთ იმ დანაშაულს? ხომ ვუფრთხილდებით ტყისა და ნიადაგის სიცოცხლეს? ხომ ვიყენებთ ყველა საშუალებას, რაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას მოუცია?

...მივყვები ტყის ბილიკს. სადღაც ახლა ცხელა და მოსარკული ციდან გამოქცეული სხივებიც კი თითქო გასაგრილებლად წვებიან ხეების ქვეშ გაშლილ ხავსზე.

ალაგ-ალაგ გზას მიჭრის ანკარა წყარო, ხან მთის ფიცხი მდინარე — თავბრის მტვრევით რომ გარბის ქვემოთ, დიდ ენგურთან შესაერთებლად.

უეცრად ტყის მუდრეოებაში ტრაქტორის გუგუნი იჭრება.

ტრაქტორი სვანეთის მთებში!

ნაბიჯ-ნაბიჯ ვუჩქარებ და ხმაურს საექსპლოატაციო უბნამდე მივყავარ.

აქ გამალებით შრომობენ ადამიანები. ზოგი ჩაქცეულ ხეებს კაფავს და ქერქავს. ზოგი ახალს შესჭიდებია წასაქცევად, აგერ, ელექტროხერხი ღრმად შეჭრილა ზორბა ნაძვის სხეულში — ცოტაც და...

— უ-უ-უს! — ამოიგმინა ბებერმა გოლიათმა და ხავსით ჩამოძენძილი მკლავები უმწეოდ შეარხია.

მე უნებლიეთ ვწევ ხელს. თითქოს მინდა დავიფარო პატარა ნაძვი, მის კალთის ქვეშ რომ იყუჩებოდა...

გუგუნით მიათრევს ტრაქტორი ტყის ფერდობზე უზარმაზარ მორს...

მიათრევს და თან მიმყავს ახალგაზრდა ხეების სიცოცხლე: ტყის ყვავილები, ბალახები, ხავსი, ნიადაგი. მიათრევს და რჩება დახნულ-დაღარული მძიმე ნაკვალევი.

შემდეგ ამ ნაკვალევს ჩამოაყვება ზვავი, ჩამორეცხავს დამდნარი თოვლის ნიადაგი და... ახე იღუბება ბუნების ათასწლოვანი ნაკოწიწები ნიადაგი.

ტრაქტორი ტყეში!

ჩვენ დღეს ბარბაროსულად მიგვაჩნია ტყის ექსპლოატაციის წინანდელი მეთოდები: მორების ხელით ჩამოყრა ტყის ფერდობზე, ან ხარებით თრევა...

ტრაქტორმა შეცვალა ხარები მინდვრად, მაგრამ ტრაქტორი ტყეში?

იქ, სადაც ხარი მსუბუქად გაივლიდა, ტრაქტორი ნიადაგს თხრის.

— ეს ხომ კიდევ მეტი ბარბაროსობაა! — ვეუბნები ხის მჭრელს.

— რა ვქნათ, ბეგმენი?

— მაგრამ რამდენადაც ვიცი...

თუმცა ტყის მჭრელმაც და ვინ აღარ იცის, რომ ამ საკითხებს, ბუნების დაცვის საკითხებს, მის კიდევ მეტად გამდიდრების საკითხებს სპეციალურად მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია 1958 წელს.

სესიამ დაგმო მორის თრევის ბარბაროსული წესი, განაჩენი გამოუტანა ტრაქტორს, რომელიც მორთან ერთად ხნავს ტყის ნიადაგს, და გახსნა ე. წ. საჰაერო „მწვანე ქუჩა“. საჰაერო ბაგირგზები არა მარტო ეფექტურია საქართველოს ტყეების მთიანი რელიეფისათვის, არამედ ბევრად იაფიც. საჰაერო ბაგირგზა ახალგაზრდა ტყესაც დაიცავდა დაზიანებისა და მოსპობისაგან.

უკრაინაში არ ყოფილა მოწვეული უმაღლესი საბჭოს სესია ამ საკითხების განსახილველად, მაგრამ დღეს კარპატების მთებში არ მოიპოვება არც ერთი ტრაქტორი. კარპატები დაქსელილია საჰაერო ბაგირგზებით.

— ნეტავ როდის გაიდევნება ტრაქტორი საქართველოს ტყეებიდანაც? — ვუზიარებ თანამოსაუბრეს ჩემს ღელვას.

— გაიდევნებაო? — პირიქით, ყოველწლიურად იზრდება ჩვენს ტყეებში ტრაქტორების რიცხვი. წელს 90-ს მივიღებთ, შემდეგ წლებში თანდათან მატულობს მათი შემოზიდვის გეგმა და 1965 წელს 200-ს მიაღწევს.

— ავშენებულვართ!

...დფიქრებული ვშორდები ტყის საექსპლოატაციო უბანს. მივდივარ „მოხნულ“ ტყეში და თვალწინ მიდგას თბილისის გაძარცული ფერდობების მძიმე სურათი...

მივდივარ...

თავმომწოხად არხევენ აშოლტილ ტანს ხეები...

ხეები, ხეები, ხეები...

ღრმადმოხუცნი, ჭარმაგები, ახალგაზრდები და სულ ჩვენნი...

თვალი მისდევს მათ სიმაღლეს ზემოთ, მოსარკულ ცისკენ და ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ამ ხეთა თავზე გადაიბიმება ბაგირგზა, რომელიც უმტკივნეულოდ გათვისუფლებს ტყეს გადაბერებული ხეებისაგან, იატაკებს უზარმაზარ მორებს და დიდი მდინარეების ფართო კალაპოტი გაგზავნის მათ ჩვენი ცხოვრების ყოველი უბნის დასამშვენებლად.

მარიკა ბარათაშვილი.

ამბები, ფაქტები, ცნობები

ზღვისპირეთის კაჯარძალი

სანაპიროდან მშვენიერად მოჩანს მთელი დიდი ნავსადგური. ნავმისაბმელებთან უძრავად დგანან უზარმაზარი ხომალდები, ამაყად აბრუნებენ ფოლადის ყრელ კისერს მძლავრი პორტალური ამწეები, საქმიანად დაფუსფუსებენ ხომალდებსა და საწყობებს შუა სატვირთო ავტომანქანები და ავტოსატვირთავები. აქ არის ჩვენი ყველაზე სამხრეთი ნავსადგური შავ ზღვაზე.

ყოველი ტურისტისათვის საკმარისია მხოლოდ ნაპირზე გადმოვიდეს და რამდენიმე ათეული მეტრი გაიაროს, რომ თითქოს ზღაპრულ სამყაროში მოხვდეს. აჭარის სუბტროპიკები, პალმები, ალისფრად აელვარებული კანა და მაგნოლიების თეთრი ძმაფრსუნიანი ყვავილები, მცხუნვარე მზე, ლაჟვარდი ცა, ტემპერამენტიან ადამიანთა ხმაური, ფუსფუსი და სიჭრელე შეადგენს ამ სანავსადგურო ქალაქის თავისებურ მშვენებას.

ეს რეგულარულად შემოდიან ყირიმ-კავკასიის ხაზის კომფორტაბელური გემები. ქალთა ლაინერები „როსია“, „უკრაინა“, „გრუზია“, „ადმირალი ნახიმოვი“, „პობედა“, „აბხაზია“, „კრიმი“, „პეტროდვორეცი“, „ლვოვი“ და სხვები ყოველთვის განსაკუთრებულ გამოცოცხლებას იწვევენ. მათ ჩამოჰყავთ და აქედან მიაყავთ დამსვენებლები და უცხოელი ტურისტები, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით ან ევროპის გარშემო რომ მოგზაურობენ. წლის განმავლობაში აქ ასეულ ათასობით მგზავრი მოდის ზღვით. სიტყვები „მშვიდობა“ და „მეგობრობა“ მრავალ ენაზე გაისმის.

ბათუმის საზღვაო ჰიშკარი სტუმართმოყვარულად ღიაა უცხოეთის ყველა გემისათვის. საზღვაო საგენტო „ინფლოტის“ უფროსი სერგი გრიგოლის-ძე დოგგიალო, რომელიც აქ თითქმის სამი ათეული წელია მუშაობს, დიდი კმაყოფილებით ლაპარაკობს ბათუმის დიდმნიშვნელოვან ადგილზე საერთაშორისო ზღვაოსნობაში.

—განა სასიამოვნო არ არის ხედავდე, —ამბობს იგი,—როგორ იზრდება ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობა! აგიღოთ, მაგალითად, გასული წელი. მსოფლიოს ყველა მხრიდან შორეული მოგზაურობიდან ჩვენს ნავსადგურში შემოვიდა ასობით გემი, ბევრ მათგანზე საზღვარგარეთის ალმები იყო. წელს კი ნახევარი წელიწადიც არ იყო გასული, რომ ჩვენი ნავსადგურიდან მსოფლიოს ჩვიდმეტი ქვეყნის ასზე მეტი გემი გავიდა.

ჩვენ მოგვდიან მუდმივი სტუმრები, რომლებიც კარგად გვიცნობენ და რომლებსაც გულღიად ვხვდებით. შარშან რამდენჯერმე იყვნენ ფინეთის, იტალიის, ნორვეგიის, შვეიცარის, ინგლისის, პოლონეთის, ბულგარეთის, ისლანდიის და სხვ. გემები.

ბათუმი ახლა არა მარტო ნავსადგურია, არა მარტო საკურორტო ქალაქია, არა-მედ სამრეწველოც. აქ ახალი ქარხნები აშენდა. მაგალითად, მანქანათსამშენებელო ქარხანამ დაამზადა და ვიეტნამში გაგზავნა მანქანების სრული კომპლექტები ორი ჩაის ფაბრიკისათვის. ბულგარეთში გაგზავნა მანქანები ღვინის მოწველობისათვის, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში — მანქანები საკონსერვო ქარხნებისათვის, ავღანეთში — ცომის საგუნდაგებელი ავტომატები. წყალქვეშფრთიან კატარღებს ამზადებს საექსპლოატაციოდ ბათუმის გემთსამშენებელო ქარხანა. ახალგაზრდა ქარხანა „ელექტროხელსაწყო“ საზღვარგარეთ გზავნის შესანიშნავ სალაბორატორიო ტრანსფორმატორებს, რომლებიც გაყიდულია საფრანგეთში, იტალიაში, ინდოეთში, ჩინეთში, კუბაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, რუმინეთში, გვინეაში, საუდის არაბეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონღოლეთში.

კოფეინსა და თეალინს ბათუმელები გზავნიან ყველა მომძე სოციალისტურ ქვეყანაში, კუბაში, ინდოეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში.

ბათუმიდან იგზავნება თბილისის ჩარხები, ქუთაისის ავტომანქანები, რუსთავის ძილები, ქართული ჩაი, თამბაქო, ღვინოები, კონსერვები.

მაგრამ, რა თქმა უნდა, უცხოელებს აქ უმთავრესად საბჭოთა ოქროს საწმისი — ნავთობპროდუქტები იზიდავს.

ბათუმი საზღვარგარეთ გზავნის მრავალი სორტისა და უმაღლესი ხარისხის ნავთობპროდუქტებს.

ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხანა ღირსეულად იცავს თავის მარკას. იგი ნედლ ნავთობს იღებს ჩვენი ქვეყნის რამდენიმე რაიონიდან და იმუშავებს ჩინებულ პროდუქციას, რომელიც თანამედროვე მანქანების ყველა მაღალ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

შორს მიდის საბჭოთა ნავთობი: იტალიასა და ფინეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში, ისლანდიასა და კანადაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ჰოლანდიაში, ტუნისსა და გვინეაში, გინესა და მაროკოში.

— ოცდაექვს ქვეყანაში, — აცხადებს გაერთიანება „სოიუზნეფტექსპორტი“ კანტორის მმართველი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე დაცევიჩი, — ვგზავნით ნავთობპროდუქტებს. ძალიან ბევრს ვეხმარებით აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს. მტკიცე მეგობრული ხაზი გაიბა ბათუმიდან ჰავანაში და კუბის სხვა ნავსადგურებში. ეს არის ახლა წავიდნენ იქ საბჭოთა ტანკერები „სუმი“ და „კომსომოლეც უკრაინი“.

ტანკერები ზედიზედ მიდიან ზღვაში. როგორც წესი, მათი ავსება ვადამდე ხდება.

აი ნორვეგიის ტანკერმა „ბერნჰარდ ჰანსენმა“ 47 საათსა და 20 წუთში მიიღო ტვირთი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 72 საათისა. ასეთი მაგალითები ბევრია. და ასეა ყოველ თვეს, მთელი წლის განმავლობაში. როგორც წესი, წასული გემის კაპიტანი „ინფლოტის“ საგენტოს მორიგ თავაზიან რადიოგრამას უგზავნის.

ჰელსინკის სანაოსნო კომპანიამ „სუომენ ტანკილაივა ოიმ“, რომელიც რეგულაურად გზავნის ბათუმში ექვს ტანკერს ნავთობის წასაღებად, სააგენტოს გამოუგზავნა წერილი: „გმადლობთ იმ კარგი ყურადღებისათვის, რაც წელს ჩვენს გემებს გაუწიეთ. ჩვენი საქმიანი ურთიერთობა თქვენთან საქმით არის დამტკიცებული და დარწმუნებული ვართ, რომ მტკიცე მეგობრობა მომავალ წელსაც გაგრძელდება. საუკეთესო სურვილებით. „ანტი ვიხური“.

საერთაშორისო საზღვაო ურთიერთობაში გავრცელებულია ორი სიტყვა, რომლებსაც ყველა სხვა სიტყვაზე უფრო მეტად აქვს ფულადი მნიშვნელობა. ეს არის „დისპაჩი“ და „დემერეჯი“. პირველი ნიშნავს პრემიას ვადამდე დატვირთვისათვის, მეორე — ჯარიმას გემის დაყოვნებისათვის. ნავთობგასაღებისა და ბათუმის ნავსადგურის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უცხოეთის თითქმის ყველა გემს ისინი დისპაჩრით ისტუმრებენ.



ძველ ნავსადგურში ყველაფერი შეცვლილია. იგი თითქოს გარდაიქმნა და ფერი იცვალა. ძველი ფლოტისაგან არაფერი აღარ დარჩენილა. იგი დიდიხნის დასამარებულია. შეიქმნა ახალი ფლოტი, ახალი ტექნიკითა და ავტომატიკით. ნავსადგურმა ისეთი მექანიზმები მიიღო, რომლებიც არასოდეს არ უნახავს და რომლებზე არც კი უოცნებია. ვინც ნავსადგურში რამდენიმე წელს არ ყოფილა, რა თქმა უნდა, ახლა ვეღარ იცნობს მას.

ნავსადგური აღჭურვილია მძლავრი ელექტროპორტალური ამწეებით, ავტოსატვირთავებითა და ელექტროსატვირთავებით, სხვა თანამედროვე მექანიზმებით. თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ქვანახშირით დატვირთული გემის დასაცლელად საჭირო იყო ორი-სამი დღეკამე და რამდენიმე ასეული მტვირთავი მუშა, ახლა ეს სამუშაო რვა-ათ საათში სრულდება. მთელ სამუშაოს ელექტროამწეები ასრულებენ, მტვირთავები კი მხოლოდ ტრიუებს წმენდენ.

— მთელი ტვირთების თითქმის 98 პროცენტს, — ამბობს ნავსადგურის უფროსი შალვა სამსონის-ძე სიმონიშვილი, — მექანიზებული წესით ვამუშავებთ, მათ შორის სამოცდაათ პროცენტს ადამიანის მონაწილეობის მიუღებლად. ნავსადგურს განუწყვეტლივ მოსდის დიდი მექანიზაცია. აი მოვიდა ორი სპეციალური გადასატვირთავი ხიდი, რომლებიც საშუალებას იძლევა დაცლა ვაწარმოოთ უდანაკარგოდ — თუნდაც კოკისპირულ წვიმაში ადმოვტვირთოთ ისეთი ტანჩამოშიში ტვირთები, როგორიც არის ფქვილი, შაქარი, ბრინჯი, მარილი და სხვ. ეს არის გალერია, რომელსაც შეუძლია ტრიუმის თავზე მოძრაობდეს მაღლა და დაბლა, მარჯვნისაკენ და მარცხნისაკენ. იგი ტვირთებს წვიმისაგან დაიცავს ჰაერის ფარდით. წვიმის მიზეზით გემების მოცდენა სავსებით აღმოიფხვრება. ასეთი მექანიზმები სსრ კავშირში პირველად იქნება გამოყენებული.

...შორს ჰორიზონტის კიდეზე ახალი ოდნავ შესამჩნევი წერტილი გამოჩნდა. ეს „ულუფის“ მისაღებად მოდის მორიგი ხომალდი. მას ნაპირიდან სიგნალს აძლევენ: „კეთილ იყოს თქვენი მობრძანება!“

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კარგო ადამიანებო, საქართველოს ამ ზღვისპირა, ასეთ ლამაზ და თავაზიან ქალაქში!

გ. კლეკვაკინი.

• • •

სურათზე: ბ ა თ უ მ ი. ლენინის ქუჩის ხედი.

ფოტო ა. ვიგანსკისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხვალ მთვარის დაბნელებაა

გ უ შ ი ნ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვიქტორ ჯაფიაშვილმა რედაქციას აბასთუმნიდან ტელეფონით აცნობა შემდეგი:

26 აგვისტოს გათენებისას მოხდება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება. დაბნელება დაიწყება 5 საათსა და 36 წუთზე თბილისის დროით. უდიდესი ფაზის მომენტი დადგება 7 საათსა და 8 წუთზე. ამ დროს დაბნელდება მთვარის დისკოს 99 პროცენტი. დაბნელება დასრულდება 8 საათსა და 42 წუთზე.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიიდან გამოჩნდება მხოლოდ დაბნელების დასაწყისი დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ მთვარე ჩავა და დაბნელების შემდგომ მსვლელობას ველარ დავინახავთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო მდინარის პირას.

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

ერი სათუთად ინახავს

ქართველი ერი სათუთად ინახავს და თაობიდან თაობას გადასცემს ქართული საბჭოთა თეატრის უფროფესორის და რეჟორმატორის კოტე მარჯანიშვილის მემკვიდრეობას. მისი სახელის უკვდავსაყოფად 1959 წელს ყვარელში, იქ, სადაც იგი დაიბადა და ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა, გაიხსნა კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი.

აქ თავმოყრილია სხვადასხვა მასალები, რომლებიც მნახველს საშუალებას აძლევენ შეისწავლონ კოტე მარჯანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი კახეთის XIX საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლიც არის.

მუზეუმში თავმოყრილია მრავალი მასალა. იგი ყოველწლიურად ივსება საინტერესო ახალ-ახალი ექსპონატებით. ექსპონატებით შევსებაში დიდი წელი მიუძღვის კოტე მარჯანიშვილის შვილს კონსტანტინე მარჯანიშვილს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორს. იგი დიდი სიხარულით შეხვდა თავისი მამის სამშობლოში, ყვარელში მუზეუმის გახსნას. ის უკვე სამჯერ ჩამოვიდა აქ და შესანიშნავი ექსპონატები უძღვნა მუზეუმს.

კ. კ. მარჯანიშვილმა მუზეუმს საჩუქრად ჩამოუტანა შემდეგი ძვირფასი მასალები:

კოტე მარჯანიშვილის დაბადების მოწმობა (დედანი), ფაიფურის ფინჯანი თეფშით, რომელიც კოტე მარჯანიშვილს უჩუქებია ნადეჟდა დიმიტრის ასულ ციოკინასათვის დაბადების დღეს 1921 წელს, კ. მარჯანიშვილის დედის, ელისაბედ სოლომონის ასულ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილის ფაიფურის უყლაბა, კ. მარჯანიშვილის ვერცხლის პირადი ბეჭედი, მისივე ინიციალებით „კმ“, რომელიც მიართვეს 1908 წელს, ოქროს საათი „ბრეგეტი“. საათი გაკეთებულია საფრანგეთში 1786 წელს. ეს საათი მიუძღვნეს მარჯანიშვილს 1920 წლის იანვარში, ვერცხლით მოვარაყებული ყანწი, რუსთაველის თეატრის დასის სახუქარი სპექტაკლ „ცხვრის წყაროს“ დადგმის შემდეგ 1922 წელს, კუდა ვერცხლის ბუდეში და ვერცხლის სურა, რომელიც მიართვეს მარჯანიშვილს 1922 წელს საქართველოში დაბრუნებისას, ჩირაოვის სახუქარი — აბრეშუმის ლენტზე წარწერით: „ჯადოქრის“ დამდგმელს „ჯადოქრის“ ავტორისაგან“, 1908 წელს კიევში, „თავისუფალი თეატრის“ დასისაგან სახუქრები კ. მარჯანიშვილს აბრეშუმის ლენტებზე წარწერით: „ძვირფას კოტ - ალექსანდრესძეს მადლიერი დასისაგან“. 1913 წ. 16-10“. ვერცხლის კვერცი, რომელიც იხსნება და კეთდება ორი ჭიქა. ეს დამ თამარმა აჩუქა კ. მარჯანიშვილის ვაჟს კ. კ. მარჯანიშვილს 1913 წელს. მაგიდის მუდმივი კალენდარი ვერცხლისა. უნიკალური ფოტოები — კოტე მარჯანიშვილი შვილთან კიევში 1908 წელს, კ. მარჯანიშვილი 1896 წელს, კ. მარჯანიშვილი და ნადეჟდა დიმიტრის ასული მარჯანიშვილი 1896 წელს, კ. მარჯანიშვილის დების სურათი ბავშვობაში, პიესები — კ. მარჯანიშვილის რეჟისორული ეგზემპლარები: „პერ გიუნტი“ ი. კ. ბალტრუშაიტისის თარგმანით, „ჰამლეტის“ რეჟისორული ეგზემპლარი. ამ პიესაზე მარჯანიშვილი მუშაობდა სამხატვრო თეატრში 1910 წელს; „შლუკი და იაუ“, მარჯანიშვილმა დადგა ეს პიესა 1909 წელს მოსკოვში, ნეზლობინის თეატრში. „ბრანდი“, ამ პიესაზე მუშაობდა მარჯანიშვილი 1907-1908 წლებში კიევში, და სხვ.

კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმს ყოველდღიურად ბევრი ხალხი ათვალიერებს.

ქ. ხუციშვილი.

კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

მემანქანის სიფხიზლე

ქუთაისი. (საკ. კორ.). საღგურ რიონიდან სახალხო მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა ქუთაისისაკენ. აბრეშუმკომბინატს რომ მიუახლოვდა, მემანქანე ლევან შარიქაძემ ლიანდაგზე თამაშში გართული ორი ბიჭუნა შენიშნა და სიგნალი მისცა. უფროსმა ყიყისე დატოვა ლიანდაგი, მაგრამ ორნახევარი წლის ბიჭი დაიბნა, აღვილიდან ველარ დაიძრა.

მემანქანემ სწრაფად დაამუხრუჭა შეადგენლობა და თავისი სიფხიზლით ბავშვი გადაარჩინა.

უნგრელები ემზადებიან

უნგრეთის 1961-62 წლის ჩემპიონატის დაწყებასთან ერთად წვრთნა განაახლა ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც შემოდგომაზე რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას გამართავს, მათ შორის ორ ოფიციალურ მატჩს მსოფლიოს პირველობის ქვეჯგუფში.

ნაკრების ცხობილ მეკარეს — გროშიჩს უკანასკნელ ხანებში ძლიერ მეტოქეობას უწევს ჰაბუკი სენტმიხალი. კითხვაზე, ვინ ითამაშებს ჩილიში უნგრეთის ნაკრების მეკარედ — სპეციალისტები უპასუხებენ: „ვინ იცის“. მცველები მატრაი, შიპოში, შაროში და დალნოკი ხშირად ცვლიან ერთმანეთს. ამათგან მტკიცეა მხოლოდ ცენტრალური მცველის შიპოშის პოზიცია. გაურკვეველია მდგომარეობა ნახევარდაცვაში, სადაც ჰაბეკი შოლიმოში. მეტოქეობას უწევს ვეტერანებს კოტასს, ბუნჯაკსა და ბერენდის.

მწვრთნელის ზრუნვის საგანია თავდასხმა. საუცხოო ფორმაშია ვეტერანი შანდორი (№ 7), სამაგიეროდ გაუფერულია გერეშისა (№ 8) და ალბერტის (№ 9) თამაში. ტიხი (№10) შეხვედრებს მაღალ დონეზე ატარებს, მაგრამ ვერ იქნა და. ვერ მოინახა შესაფერისი მარცხენა გარემარბი. ამ ადგილზე ჯერჯერობით უძლიერესია ფენვესი.

ნაკრების მწვრთნელის ლაიოშ ბარატის აზრით გუნდი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს წარმატებას ჩილიში, თუ მოხერხდება ვეტერანების კარგად შეწყობა ჰაბეკ ფეხბურთელებთან. ბაროტი ნაკრების მოსალოდნელი კანდიდატებიდან განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს „ვამშის“ ჰაბეკ ცენტრალურ მცველს მეზელის და 21 წლის ნახევარმცველ ბაკოშს. წლის ბოლომდე ნაკრების არაერთი ხანგრძლივი ვარჯიშის მოწყობაა განზრახული.

ტელეფონი 3-60-12

„თბილქალაქცნობა“. აქ შეიძლება მიიღოთ ცნობები თბილისის საწარმო-დაწესებულებათა ადგილმდებარეობის შესახებ, მათი ტელეფონის ნომრები, ცალეული მოქალაქეთა მისამართები, ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, ბაკოს მისამართები და ტელეფონის ნომრები, ცნობები სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მატარებლების, გემების, თვითმფრინავების, საქალაქთაშორისო ავტობუსების, ადგილმბრივი საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობისა და მარშრუტების შესახებ და სხვ.

მრავალი წერილი მოდის სსრ კავშირის ყველა კუთხიდან და უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეებიდან მშრომელთა წერილების განყოფილებაში. ამას წინათ მოვიდა წერილი ერაყის ნავთობის კომპანიის მუშაკის სეიდ ახმედ იბნ ჯალილისაგან, რომელიც დახმარებას ითხოვდა თავისი ძმის მოძებნაში; პოლტავის ოლქის ერთ-ერთი კოლმეურნეობა ითხოვდა დახმარებას ქართული ფუტკრის შეძენაში; კითხულობდნენ სხვადასხვა ინსტიტუტში შესვლის წესებს და სხვ.

„თბილქალაქცნობაში“ მოვიდა თბილისში თოფურიძის ქუჩაზე № 14 მცხოვრების ნ. გუბელიძის წერილი. იგი დახმარებას ითხოვდა ომში დაღუპული ძმისშვილის სტანისლავის მოძებნაში. „თბილქალაქცნობამ“ იგი აღმოაჩინა ვლადიმირის ოლქის ქალაქ მურომში.

„თბილქალაქცნობას“ კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქისა და დემოკრატიული ქვეყნების საბისამართო ბიუროებთან. აქ შეკითხვები მოდის ჩინეთიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

გინდათ გაიგოთ? ინეგეთ!

ჭადრაკი

ბათუმის ნახევარფინალი

ბუენოსი ბათუმში შედგა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის მე-13 ტური.

გრუშევსკისა და ლომაიას პარტიაში ლომაიას ყიმის რეალური შანსები ჰქონდა, მაგრამ იგი ძლიერ ცაიტნოტში მოჰყვა და დამარცხდა. ბაგიროვმა მოუგო კალანტარს, არაქელოვმა — პრესს. ხეიგურგენიძის, ჰალილბეილ-უსტინოვისა და ზახარიან-კლოვანის პარტიებში მოწინააღმდეგენი აყიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

13 ტურის შემდეგ ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს ოსტატი გურგენიძე, რომელსაც 10,5 ქულა აქვს. მეორე და მესამე ადგილებს თვითეული ცხრანახევარი ქულით იყოფენ ხეი და ბაგიროვი, გიასლისს 8,5 ქულა აქვს.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიები დამთავრება.

ლიდერია კოლუგაევსკი

რსფსრ საჭადრაკო ჩემპიონატში გათამაშდა 13 ტური. კვლავ წინ არის გროსმაისტერი პოლუგაევსკი, რომელსაც 9 ქულა აქვს. რვანახევარ-რვანახევარი ქულით მომდევნო ორ ადგილს იყოფენ ოსტატები ლეონი და შესტოპეროვი. ილივიცკისა და ანტოშინს რვა-რვა ქულა აქვთ.

მოსკოვის ჩემპიონატი

მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონატი ამავე დროს საკავშირო პირველობის ნახევარფინალურ შეჯიბრებად ითვლება. აქ პირველ ოთხ ადგილზე გამოსული მოჭადრაკე დაშვებულ იქნება ფინალში, რომელიც ბაკოში შედგება.

უკვე გათამაშდა 4 ტური, მაგრამ ჩემპიონატის ცხრილში ჯერ კიდევ არ არის სრული სიცხადე. მაგალითად, ოსტატ შამკოვიჩს 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს უარეს მდგომარეობაში. ამდენივე ქულა აქვს შეგროვილი ოსტატობის კანდიდატს შაჩკესს. ლიდერთა ჯგუფში შედიან აგრეთვე ოსტატი ვოლოვიჩი, გროსმაისტერი ბრონშტეინი, საერთაშორისო ოსტატი ვასიუკოვი და ოსტატი გოლდბერგი.

რვა ქულა ცხრიდან

როგორც ცნობილია, ჭადრაკში საკავშირო პირველობის მეორე ნახევარფინალური ასპარეზობა მიმდინარეობს ნოვგოროდში. აქ წარმატებით იბრძვის ხარკოველი ახალგაზრდა ოსტატი საგონი, რომელსაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება გროსმაისტერი ხოლმოვი. მესამე ადგილზეა ოსტატი სუეტინი, რომელმაც ცუდი სტარტის შემდეგ ზედიზედ მოიგო ხუთი პარტია და 6 ქულა აქვს ცხრიდან.

საერთაშორისო მატჩი

ბუენოს იტალიის ჭ. ბოლონიაში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში იტალიის საკლუბო გუნდის „ბოლონიასა“ და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1 : 1.

კომუნისტი

რედაქტორი

დ. ხმელიშვილი.

25 აგვისტო

ტელევიზია: 18.00 — გ